ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1206857

ნომერი: AR1168383

თარიღი : 01.04.2014

გაცემის თარიღი : 04.04.2014

გაცნობის თარიღი : 10.04.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ. ბაგრატიონი , კორპუსი 5 , ბლოკი II ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კობიძე პ/ნ 01030022471
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან AR1183357 განცხადებით ითხოვთ მიშენების განხორციელებას და აღნიშნულზე ჯერ ნებართვა არ გაცემულა და შესაბამისად სამუშაოები ნაწარმოები არარის, ამ განაცხადით კი ითხოვთ გაზის მილის გადატანას, რომელიც დამუშავებულია AR1183357 ატვირთულ ფოტომონტაჟზე, სამსახური ამ ეტაპზე თქვენს თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, შესაძლებელია აღნიშნული სამუშაოები გაითვალისწინოთ AR1183357 განაცდზე ატვირთულ დოკუმენტაციაში ან ზემოაღნიშნული მიშენების განხორციელების შემდგომ მომართოთ სამსახურს და მოითხოვოთ I კლასის სამუშაოების განხორციელება.

ასვე წარმოსადგენი იქნება ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3 (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100%.
(თქვენს მიერ ატვირთულ ოქმში არ არის დაფიქსირებული თუ რამდენმა პროცენტმა დაუჭირა მხარი გადაწყვეტილებას).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.